№ 69 29 მარტი, ხუთშაბათი 1866—1879 29 მარტი, ხუთშაბათი № 69

დროება

უოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვისა—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ხაზზე—1 კაპ., ბოლომოყოლილ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ქრისტეს აღდგომის დღესასწაულის გამო მოგვალის კვირის ხუთშაბათამდინ გაზეთი არ გამოვა.

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

პირველი აპრილიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნესრედაქციაში წარმოდგენილი

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ლონდონი, 25 მარტს. ზულუ ები გარს შემოერტყნენ ქალაქს ეკოუს, რომელშიაც დამწყვდეულია ინგლისის ჯარი; ინგლისის გარნიზონში ჯანმთელობაა, მაგრამ სურსათი აკლიათ. ახალი ინგლისის ჯარები გაიგზავნა ამ გარნიზონის გამოსახსნელად ეკოუდამ.

ვეტლიანკა, 26 მარტ. ნავებით მოაქვთ აქ პურის ფქვილი ღარიბებისათვის მუქთად დასარიგებელად.

პეტერბურღი, 26 მარტს. აქ მოკვდა კავკასიის გმირი ღენერალი პისტოლკორსი.

ლაპარაკობენ, რომ რუსეთის პოლიციაში დიდი ცვლილება უნდა მოხდესო. ამბობენ, ვითომც ცალკე სამინისტრო უნდა დაწესდეს პოლიციისაო; ასახელებენ პირსაც, რომელიც პოლიციის მინისტრად დაინიშნება.

ოდესსა, 26 მარტს. გაზეთის „ოდესის მოამბის“ რედაქტორს ვიღაც ზინოვიევმა შეურაცხყოფა მიაყენა საქმით (ე. ი. გალახა) იმისთვის, რომ რაღაც სტატია არ დაუბეჭდა.

კეტერბურღის ბირჟა, 26 მარტს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	96	50
მეორე — — — — — —	96	25
მესამესი — — — —	96	12
მეოთხესი — — — —	96	„
ალმოსავლეთის პირ. —	93	50
ალმოსავლეთის მეორე —	93	62
ოქრო, 1/2 იმპერიალი —	8	40
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — —	94	50

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	237	„
მეორე სესხის — — —	233	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—16	პენსი
ამსტერდამი — — —	„	ცენტი
ბერლინი — — —	—200	ჰფენიგი
პარიჟი — — —	—246	სანტიმი
კავკასიის კერასინი —	„ —	„

ფელეტონი

სურათები ჩვენი ცხოვრებიდამ

—ბაათავე, სალომე? თუ კიდე დაგრჩა სათქმელი? უთხრა სტეპკომ თავჩაღუნულმა.

—ბაათავე კი არა და ჩემი სულის ცხონებამა არ ვაცი რა ვქნა!...

—აბ, სალომე! რამდენჯერ შენ ჩემს გულს აბოროტებ მაგ გვარის ქცევითა! რა უღროეოთ მაბერებ, შე ულმერთო! მუდამ ეგ ამბავია შენგან! დღე არ გავა, რომ ბედი არ მაწყევლინო! ჩემ თმაში ჯერ ჭაღარას რა უნდოდა! ჩემ გულში დარდებს რა ალაგი ჰქონდა! ღვთის მოცემული არა მაკლია-რა, ღირსიც არა ვარ ჩემის ბედისა; მაგრამ ერა! სულ ამაოა შენს ხელში! ქაცი ვერ აგებრახებ, პასუხი ვერ მოუცია! ერთი ტაბილი სიტყვა შენი ბირიდამ არ ამოსულა! ღმერთმა შეარცხვინოს ამ გვარი ცხოვრება! ნეტავ ჩემ სიცოცხლეში კარგი არ მენახა და შენ ეგ საძაგელი ხასიათისა რ ჰყოფილიყავ!...

—რა გინდათ ჩემგან, ქრისტიანებო! არ დამეხსნებით! თავს ხო არ მამაკვლევინებთ! რაც გინდათ, ის იქნება! ეს თქვენა და ეს კნიაზი! ბინდათ წადით, გინდა თავში ქვა ახეთქეთ!...

—კარგი, შენ გენაცვალე, მამა! თავი დაანებე! ბულს ნუ იბოროტებთ! დედა ჩემის ნება იყვეს; ქატო მორთოს და წაიყვანოს, მე თუნდა ხამის კაბით წავალ, თუ უნდა, სულ..

—ვისი ხმა მესმის ესა, ვისი! წამოვარდება სალომე და ეცემა პირში ნინუცას: სულ შენი ბრალი იყო ეს ჩხუბი და კიდე ხმის ამოღებას ჰბედავ, შე ურცხო, უნამუსო შენა.

—დედილო, რა უნამუსობა მიქნია, რომ ყოველთვის ამ საძაგელი სიტყვებით მომმართავ ხოლმე!

—ხმა ჩაიკმინდე, თორე სუ ხელიგულივით გაგიშლი შენს კაი ქალობას! მამაშენს რომ უმანკო მტრედი გონიხარ და მუდამ წამოგესარჩლება, შენ არა ხარ!... შენ არა ხარ!... ესთქვა?... შენ არა ხარ, რომ მუდამ ქატესა და ვიღაც ბალოდიას ხსენებაში ამოგდის სული! მუდამ იმის ქებაში ხარ! . მუდამ იმის მნატერელი ხარ, რომ იმასთან ატარო დროება!... დაიქცეს ის დღე, როცა შენი ზაევდენიაში მიცემა ვიფიქრეთ! თუ ეგრე დედის ურგები და წინააღმდეგი გამოხვიდოდი, რატო მაშინ ფეხი არ მოგტყდა....

—და შენ, დედა, ყველა ამეებს გულგრილად ისმენდი დღემდი! შენ, მშობელი, ამის შემდეგ ცდილობ კიდეც, რომ ქოტე მას მიიწონოს და ქოტეს იმან თავი მოაწონოს! ქოტემ, რომელიც არც ნათესავია და არც შემრთველი შენი ქალისა! მიუგებს სტეპკო სალომეს მშვიდობიანის ხმით და ჩიბუხის წვეთ.

—მე რა ვქნა, თუ კი შენი ქალები ესეთები არიან! მცემო? ბაუჯავრდე? არ მიცემნია, ცუდი არა მიკადრებია რა და რა ყოფა დამაყენეთ; რო ვსცემო, მგონი, თმით მათრიოთ, შემყლაპოთ!

—არა, ცემას არ გეუბნები, რა პატიოსნებაა! მაგრამ ვისი ბრალია, რომ ესეთია შენი ქალი, რომელიც ცწავლიდამ გამოსვლის შემდეგ შენს ხელშია, შენა ხარ იმისი თვალყურის მგდებელი! მე ხომ სტუმარი ვარ სახლში! ვისმა

საქართველო

ბეს. ღოღაბერიძის სახსოვრად

დღევანდელმა ფოშტამ სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი, ბესარიონ ღოღაბერიძე, გარდაცვლილა..

მარტო პირად მცნობს კი არა, ვისაც მხოლოდ შორიდან გაუგონია განსვენებულის ვინაობა, ეს შემთხვევა იმასაც გულს დასწვავს და ატკენს.

საზოგადოდ ნათქვამია: „კაცი რომ მოკვდება, მერე დაუწყებენ ქებასაო“.

მაგრამ ჩვენ ამას არ მივსდევთ და იმ გვარ-კაცებზედ, როგორიც იყო მიცვალებული, რასაც სიკვდილის შემდეგ ვამბობთ, სიცოცხლეშიდაც იმასვე ვფიქრობდით. მართალია, იმას სიცოცხლის დროს ბევრსაც ვუსაყვედურებდით, ვემდურით და ვგმობთ ხოლმე, მაგრამ შეცდება ის, ვინც ამაებს მხოლოდ შურს, მტრობას და ღალატობას მიაწერს და არა უფრო სხვა საპატივსაცემო მიზეზებს...

მაგალითად ავილოთ ოდესმე დიდებული და ძლიერი, მაგრამ დღეს კი ჟამთა ვითარებისაგან დაჩაგრული და დაწეული ოჯახები: ვინც ადრე მის ერთგულებას იჩენდა, დღეს, როდესაც საპირადო ანგარიში აღარა აქვს-რა და აღარაფერს გამოელის, განზედ უდგება, ადრინდელი მოყვრები მტრებათ ექცევათ და ერთგულების რიცხვი ყოველ დღე აკლდება... მაგრამ ამ შავ-დღეშიაც ვხედავთ, რომ თითო-ოროლა მოკეთე კიდევ შერჩენია. იმათი რიცხვი ცოტაა, მაგრამ მათ გულში ოჯახის სიყვარული და ერთგულება კი დიდია. ესენი სიკვდილამდე არ უღალატებენ ამ საბრალო ოჯახს და თავ-დაუზოგავათ, დაუზარებლათ ემსახურებიან და შრომობენ.. მაგრამ რას გახდებიან? საოჯახო საქმე ბევრია და ერთგულების რიცხვი კი ნაკლე... რაც უნდა იშრომონ, ვერ აუთავდებიან... ამას ჰხედვენ და გული ულრენსთ. რამდენიც უნდა იშრომონ, კიდევ მაინც ჰგონიათ თუ ვერ ვბეჯითობთო და მისი ბრალია, რომ საქმე ფუჭდებაო; უწუხსთ გული, მოსდისთ ჯავრი და ერთი მეორეს ესაყვედურებიან. ვარდისახარი თინათინსა ჰგმობს, თინათინ ზმირისაულს ეჩხუბება, ზმირისეული პირმთვარისას სწყევლის, პირმთვარისა შაქრისახარს თავზედ ლეჩაქს ახევს და სხ. და სხ. მაგრამ ნუ თუ ამათ სამდურავში, საყვედურში და ჩხუბში უფრო პატიოსნური ანგარიში, ერთობა, ამხანაგობა, სიყვარული და თავისიანობა არ იყოს, ვიდრე გარეშე თვალთმაქცურ-ტკბილ-ალერსიან საუბარში და ძალ-დატანებულ ღიმილში?!

მოვიყვანოთ კიდევ უფრო სათვალ-და-თვალო მაგალითი:

ვის არ გინახავსთ შავ-დღეში ჩავარდნილი და გამწარებული დედა, რომელსაც დამშეული შვილები გარს ეხვევიან და საზრდოსა სთხოვენ?

„—რას ტირით, თქვე გასაწყვეტლებო! თქვენ შეგჭამოსთ მგელმა! ის დღე დაიქცა, რა დღეს თქვენ გამიჩნდით! თქვენ გამიწყდით, გამიწყდით, რომ ერთბაშათ მოგრჩეთ და მოვისვენოო“! ტირილით ეუბნება გამწაოებული დედა და ხშირათ კიდეც წაჰკრავს ხოლმე იმ საცოდავებს.

ისინი რომ სხვისი შვილები იყონ და ეს მათი მშობელი არ იყოს, მაშინ ეს ქალი ისე როდილა გამწარდებოდა; არც იტირებდა, არც დასწყევლიდა მეზობლის შვილებს! ცხადია, რომ მოიფერებოდა, შეიცოდებდა იმ საბრალო მშიერებს, აკოცებდა და ეტყოდა ალერსით:

„— ჰი თქვე საცოდავებო, ნეტავი მქონდეს, რომ რამე გაჭამოთო“ და სხ.

მაგრამ, ნუ თუ აქედამ ის უნდა იგულისხმოს კაცმა, რომ იმ დედას თავის საკუთარ შვილებზედ მეზობლის შვილები უფრო ებრალება და უყვარს? — რასაკვირველია, არა. მაგრამ საქმე ის არის, რომ ხშირად ორი სულ სხვა-და-სხვა, ერთი მეორის წინააღმდეგი, მიზეზი ერთ გვარად ალაპარაკებს ადამიანს და ერთ ნაირადაც ამოქმედებს და ამაზედ არის ნათქვამი, რომ „კარგ მთქმელს კარგი გამგონი ეჭირვებაო“.

სწორეთ ამ მდგომარეობაში არის დღეს ჩავარდნილი ჩვენი მუშა-ახალგაზდობა და ეს არის მათის უთანხმოების უმთავრესი მიზეზი.

ამ რამოდენიმე წლის წინეთ ჩვენ დავბეჭდეთ „დროებაში“ ერთი სტატია ახალ-თაობის შესახებ. იქ ჩვენ ჩვენი ახალ-დგმა, ახალ-გაზდობა სამ-გუნდათ გავყავით: 1) „გაიძვერები“, რომელთაც საზოგადო საქმე და ახალ-თაობაში თავის ჩაწერა საპირადო ხიდათ და მახეთ გადაუქცევიათ; 2) „ნაცარქექიები“, ე. ი. მისთანები, რომელთაც არ იციან რას შვრებიან და არც მოეთხოებათ!.. ღმერთმა შეუნდოსთ! და 3) მუშა-ახალგაზდები.

იმ სტატიის დაწერის შემდეგ, თუმცა წელიწადებმა გაირბინეს, მაგრამ ჩვენ კი დღესაც იმავე აზრისა ვართ ჩვენს ახალგაზდობაზედ. ცვლილება არა მომხდარარა; მხოლოდ იმაშია განსხვავება, რომ მუშა-ახალგაზდების რიცხვმა იმატა და

მაგალითებმა იმოქმედეს იმაზედ!... ამის შემდეგ კიდევ ბრძანებთ, რომ ის ხმები, რაც დადიან ჩვენზედ, ჭორებიო!.. ეჰ! რა გელაპარაკო! მთქმელს გამგონე უნდაო!... დავწვე, დავიძინო!... ღამე მშვიდობისა!...

სტეპკო დაწვა, და მიეცა ოცნებას რომელიც უფრთხობდა ძილსა. ნინუცა და პატო მეხ-დაკრულებივით მიუყუჟულიყვნენ სტოლთან და ჩიგნს ჰკითხულობდნენ; სალომე მიწოლილიყო დივანს და თითქო ნემსებზედ ზისო, ტოკავდა, არ იცოდა რა ექნა; ვეფხვივით აქეთიქით აბრიალებდა თვალებს და გამწარებული ფრჩხილებს იკვნეტდა.

ამ დროს მოისმა ზარის ხმა. სტეპკო წამოიწია, მაგრამ ისევ მალე დაწვა. ნინუცამ და პატომ ყურები სცქვიტეს და ერთმანეთს შეხედეს. ამათ იგრძნეს, რომ ეს უთუოდ ვალოდია, შემოვა და ნაომრებს შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდებაო.. შემოვიდა ბიჭი.

—ქალბატონო, ვალოდია მობრძანდა....

—მობრძანდი-თქო! მიაძახეს ნინუცამ და სტეპკომ..

—უმდაბლესი სალამი ყველას ერთობრივ ყურმოჭრილი ყმის ვლადიმირ ივანიჩ მასხარაძისაგან! სთქვა სტუმარმა და ყველა მხრივ მოიხარა თავი.

—აჰ! ვლადიმირ ივანიჩს ვახლავარ უკაცრავად, შეუძლოთა ვარ! მიუგო სტეპკომ და აავსო ჩიბუხი თამბაქოთი.

—რითი, რა დაგმართეიათ?

—დასწყევლოს ღმერთმა! ეკლებს ვსჭრიდი ძეძვებზედ, გამოექანა ერთი ეკალი და მწარეთ დამკოდა! მიუგო ღიმილით სტეპკომ.

—ჰო, აბა თქვენ სად შეგიძლიანთ ძეძვს წინააღმდეგობა გაუწიოთ!.. მართლა რატო ეგრე დაღონებული ხართ ყველანი! ჩემი მოსვლა ხო არ გეწყინათ! მგონი უდროვო დროს მოველ! უკაცრავად!

—სრულიადაც არა! ჯერ ცხრა საათიც არ არის, რა უდროვოა, მაგრამ მე შეუძლოთ ვარ და ქალების რა მოგახსენოთ! სთქვა სტეპკომ.

—თქვენ რაღათ, ქალებო? თქვენც ხომ ძეძვით არ დაიკაწრენით?

ყველა ჩუმათ იყო, ხმას არავინ იღებდა..

—არა! დედაჩემი მამიჩემის შეუძლოთ ჰყოფნას წუხს, ჩვენ კიდე მშობლების მწუხარებას დაუღონებივართ! სთქვა ნინუცამ.

სალომემ მწარეთ გაიღიმა და გადახედა ნინუცას.

—მაშ, მშვიდობით! მე არ შემიძლია თქვენს მწუხარებაში თანაზიარი ვიყვე! ჩემი საქმე—მხიარულობაა! მე მოველ მისთვის, რომ ხვალ ერთად წავსულიყავით ბალში, სადაც, რასაკვირველია, თქვენც მიწვეულები იქნებით. რას მიბრძანებთ?

—მიწვეულები ვართ, მაგრამ მე, სამწუხაროდ, შეუძლოთა ვარ; კარგათ ვიქნები, უთუოდ წამოვალ!

—თქვენ რას იტყვით? მიუბრუნდა ქალებს. თქვენს გულში ვზივარ და ზედმიწევნით ვიცი, რომ გსურსთ წასვლა, თუ.... თუ მშობლები ნებას მოგცემენ!. მშვიდობით! ხვალ უ-თქვენოთ არ წავალ! იფიქრეთ ამაღამაც! მშვიდობით! მომიტევეთ, თუ შეგცოდეთ რაიმე. ეს სთქვა ვალოდიამ, დატრიალდა და გავარდა კარზედ შურდულივით.

სტეპკო და სალომე, ნინუცა და პატო პირლია დარჩნენ; თვალები ყველას კარებისკენ დარჩათ. თითქო ახლა შერცხვათ რომ ვალოდია ასე დაითხოვეს სახლიდამ.

მეორე დღეს ვალოდია აღარ მოსულა ამათთან და ესენიც, რასაკვირველია, არ წასულან ბალში. მხოლოდ სტეპკო ველარ დადგა შინ და გვიან ფაეტონით გაექანა სადღაც..

(გაგრძელება)

ორათაც გაიყო. თუმცა ორივეს მიმართულება და სურვილი ერთი და იგივეა, მაგრამ სხვა-და-სხვა გზებს კი დაადგენ და ეს არის, რომ ერთმანეთში ვერ რიგდებიან:

ერთი პირ-და-პირ, შეუპოვრად, უშიშრად თავგაწირულად მოქმედობს.

მეორეს კი ეს არ მოსწონს და ამბობს: ეგრე არ ვარგა მოქმედება! ეგ წინდაუხედაობა არის, კლდეზედ თავის გასრესა და უხერხობაო; შეგიძლიათ რასაც ამბობთ და აკეთებთ, გულში იქონიოთ, მაგრამ თავი კი თვალთ-მაქცურად დაიჭიროთ და ფრთხილად იყოთო..

ამაში ვინ არის შემცდარი—ის თვითონ მკითხველმა გაარჩიოს; მაგრამ მე კი პირველებთან ვარ და ვერ ვეთანხმები მეორეებს. ავის ავად და კარგის კარგად ჩათვლა, თეთრის თეთრად და შავის შავად დასახელება არ ნიშნავს კლდეზედ თავის მიხლას და რომ კიდეც ასე იყოს, მაინც კიდევ არაფერი, რადგანც მარტო ის ერთი თავი ხომ არ იქნება საზოგადოების ბურჯი?!—და თუ კი ერთის თავის მოსრესით ათასი სხვა მისთანა და მაზედ უკეთესი თავიც გამაგრდება, მაშ რაღა დასანანებელი და საფთხილოა ის ერთი?!... ნამეტანი სიფრთხილე, სიჩუმე და უმოქმედობა კი ხშირად ძილს მოგვრის ხოლმე კაცს და ამ ცოდვაში ხშირადაც ვარდებიან ხოლმე მეორეები.

„—კაცი რომ ცუდ გზას ადგეს, ტალახში იყოს ჩაფლული, ნუ გაჰკიცხავ, ნუ ჰყვედრი, ხომ იცი, რომ დაცინვითა და დაგმობით მხოლოდ გააჯავრებ და საქმეს კი მაინც ვერ გაარიგებო, იმას ველარას უშველიო!“ ამბობენ მეორეები. კეთილი, მაგრამ ვინა ჰფიქრობს მაშინ მარტო იმ ერთზედა? მიტომ კი არა ჰკიცხვენ და ჰგმობენ იმ საბრალო გასვრილ კაცს, რომ მისი გინება ეხალისებოდესთ და ან მხოლოდ მისი გამოხსნა უნდოდესთ. არა. მით გაკიცხვით უნდათ, რომ სხვებს თვალი აუხილონ და იმ ცუდ-კაცის გზაზედ წასვლა მოუშალონ!... პირველები ამბობენ, ცუდი კაცი თუ გადმოვიყვანე ჩემს რაზმში, ხომ კარგი, თორემ მე მაინც არ გადავყვები იქით, რომ სხვები მაინც შევაჩერო და ალარავინ გადაყვეს მასაო! მეორეები კი ამტკიცებენ: არა, ცუდ-კაცს უნდა თვალთ-მაქცობით გადავყვეთ იქით, რომ მერე უფრო ხელ-მარჯვეთ გადმოვიყვანოთ ჩვენკენო. მაგრამ რომ ველარ? და მასთან ეს ხომ სხვებისათვისაც ცუდი მაგალითი იქნება? რა იციან—გულში რა უდევსთ იმათ? სხვებმაც რომ მიჰბაძონ, მართლა კარგი ეგონოსთ და გადვიდენ იქითკენ წამხედურობით?!.. მერე ვისი ბრალი იქნება? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს მეორეები ქვეყნის ერთგულებითა და სიყვარულით ჩაიდენენ ამ საქმეებს და არა პირადის სარგებლობისათვის; მაგრამ როგორ გავარჩიოთ? თუ ასეა, ხომ გაიძვერებიც იტყვიან მაშინ, რომ ჩვენც ქვეყნის ერთგულებით ურიგდებით საძაგლობას, თორემ ჩვენი პირადობა არ გვახსოვსო!.. ზარეგანი მოქმედება ხომ ორივესი ერთია, როგორც გაიძვერაების, ისე მეორე რაზმის მუშა-ახალგაზდობისა და შინაგანით რა არის, ის ხომ ძნელი გასარჩევია?

არა, ვიმეორებ, რომ ამ მეორე რაზმს—მუშა ახალგაზდობა თუმცა ვაფასებთ, პატიოსან კაცებათ ვიცნობთ, გვიყვარს და მათ საზოგადო თავ-განწირულებაში ეჭვი არ შეგვაქვს, მაგრამ ვერ ვეთანხმებით და მისი ბრალია თუ ხშირათ უსიამოვნება რამ მოგვდის ხოლმე ერთმანეთში.

აკაკი

პეტერბურღი, 19 მარტს.

თფილისის ქალაქის რჩევა

სხდომა 26 მარტს

სეკრეტარმა წაიკითხა წინანდელის სხდომის პროტოკოლი.

შემდეგ ყველაზე პირველად მოლაპარაკება ჩამოვარდა ხმოვანის კაპანაძის წინადადებაზედ, რომელიც თხოულობდა, რომ, თუმცა გავლილ სხდომაზე პირუტყვის საკლავის გადასახადის იჯარა რჩევამ დავრიშოვსა და ბრიქუროვს მისცაო, მაგრამ ეს გადაწყვეტილება დაირღვესო და რადგან ახლა წარმოვადგინე ხელოსნებისაგან ვექილობა, ეს იჯარა მიეცეს ხელოსნებსაო.

უფ. კაპანაძისაგან წარმოდგენილს ვექილობაში სხვათა შორის სწერია, რომ ჩვენ ქალაქის ხელოსნები თანახმა ვართ წელიწადში სამი ათასი თუმანი მივსცეთ ქალაქს პირუტყვის დაკვლის გადასახადის იჯარით აღებაში იმ პირობით, რომ რაც მოგება დაგვრჩება, იმის ნახევარი სახელოსნო შკოლის სასარგებლოდ მოვიხმაროთო. ეს საქმე მიგვინდვია ჩვენი სახელოსნო სტარშინის უფ. კაპანაძისთვისაო, რომელიც ჯეროვანს გირაოს შეიტანს ქალაქის გამგეობაში და თუ იმან რამე იზარალა, ამაში კი ჩვენ პასუხის-მგებელი არა ვართო.

ეს ვექილობა ორმოც-და-შვიდის უსტაბაშისაგან, იმათ თანაშემწეებისა და კანდიდატებისაგან არის ხელ-მოწერილი.

კრებაში ხანგრძლივი ლაპარაკი ჩამოვარდა იმაზე—ეს ვექილობა კანონიერად უნდა ჩაითვალოს, თუ უკანონოთ. ბაასში, სხვათა შორის, მიიღეს მონაწილეობა ხმოვანთა უფ. არ. ხარაზოვმა, ს. მესხმა, ა. კაპანაძემ, ალ. ჩოლაყაშვილმა და სხვ., რომელნიც ამბობდნენ, რომ, რადგან კანონში არ არის მოყვანილი ამ გვარი ვექილობის ფორმა, რადგან ხელის-მოწერის სიყალბეზე აქ ეჭვი არ უნდა იყვეს და რადგან ამნაირად ხელოსნებმა შეასრულეს ყოველივე პირობა, რასაც იმათ ვთხოვდით, ამის გამო ჩვენი აზრი ეს არისო, რომ ხსენებული იჯარა იმათ მიეცეს და არა კერძო მეიჯარადრებსო.

ხმოვანებმა უფ. ევანგულოვმა, როტინიანცმა და ზოგმა სხვებმა შეიტანეს წინადადება, რომ ეს ვექილობა გარდაეცეს უპრავას (გამგეობას), იმან განიხილოს ის და, თუ კანონიერად აღიარებს, ეს იჯარა პირ-და-პირ ხელოსნებს გადაეცეს, თუ არა და ისევ ძველ მეიჯარადრებთან დავრიშოვთან და ბრიქუროვთან შეჰკრას კანტრაქტიო.

თუმცა გამგეობის ერთმა წევრთაგანმა უფ. მ. ი. დოლუხანოვმა გამოაცხადა, რომ ჩვენ უკვე განვიხილეთ ეს ვექილობა, მაგრამ დაბეჯითებით ვერ გვითქვამს—კანონიერია ის თუ არა, მაგრამ რჩევამ მაინც ხმის უმეტესობით მიიღო ზემოხსენებული ხმ. ევანგულოვის წინადადება და ამ საქმის საბოლოვოდ გადაწყვეტა გამგეობას მიანდო.

გამგეობის წინადადებით რჩევამ გადაწყვითა შემდეგ, რომ სმეტის გარეშე დარჩენილი 813 მანეთი დაურიგდეს გამგეობის ჩინოვნიკებს.

წაიკითხეს უფ. თფილისის ღუბერნატორის წინადადება, რომ ქალაქის საწყალი ხალხის დახმარებაში ქალაქის ხაზინამაც მიიღოს მონაწილეობა. კრებამ გადაწყვიტა, რომ ამ საგნის განხილვა გადადებული იყვეს იმ დრომდინ, სანამ მომავალის წლის „შემოსავალ-გასავლის ანგარიშს არ შევიტყობთ და არ გვეცოდინება—გვექნება იმდენი ფული, რომ საწყლებს დავეხმაროთ, თუ არაო.

სხდომა 11 საათზე დაიხურა.

დღიური

*** როგორც უკანასკნელი სიიდამ დაინახავდით (№ 67) „დროების“ რედაქციაში ამ ერთ თვეში ათასს მანეთზე მეტი მოგროვდა გაჭირებულ ქობულეთლების სასარგებლოდ. ამას გარდა ამ კვირაში ოთხას მანეთამდინ მოველით ჩვენ თუ „ივერიისა“ და „სასოფლო გაზეთის რედაქციებიდამ და თუ ერთის კერძო პირისაგან, რომელსაც ხელმოსაწერი ქაღალდი ჰქონდა ჩაბარებული „დროების“ რედაქციიდამ.

ამ ნაირად, ამ კვირის დამლევს თითქმის ას-ორმოც-და-ათ თუმნამდინ მოგროვდება რედაქციაში.

ამ ფულების ქუბულეთში გაგზავნისა და დარიგების თაობაზე მოსალაპარაკებელად ამ კვირაში შეიკრიბებიან ჩვენს რედაქციაში ყველა ის პირნი, რომელთაც ფულის მოგროვებაში რაიმე მონაწილეობა მიიღეს და ამათ გადაწყვეტილების-თანახმად დარიგდება ანუ გაიგზავნება ეს ფული.

*** ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ, თ. ა. ზ. ჩოლაყაშვილის თაოსნობით არსდება თფილისში ახალი დამზოგველთა საზოგადოება. ამ საზოგადოების წესდებაც დიდი ხანია უფ. თფილისის ღუბერნატორს ჰქონდა წარდგენილი, მაგრამ რაღაც მიზით იმის დამტკიცებას აგვიანებდნენ.

ახლა შევიტყეთ, რომ ამ საზოგადოების წესდება უკვე დაუმტკიცებია უფ. თფილისის ღუბერნატორს და ამ მოკლე ხანში ამ საქმის მოთავენი შეუდგებიან თვით ამ საქმის სისრულეში მოყვანას.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთის აქაურ საქალებო გიმნაზიის შაგირდს, სა-

ხელდობრ მაჭავარიანის ქალს მუზიკის მოყვარე პირნი თავის ხარჯით გზავნიან პეტერბურღში მუზიკალურ განათლების მისაღებად და გალობაში გასავარჯიშებელად.

* ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი ანგარიში იმ ქართული წარმოდგენისა, რომელიც იყო ქრისტეშობლეთლების სასარგებლოთ 21 მარტს უწინდელ თფილისის მუზიკალურს ზალაში:

შემოსავალი იყო—	286	მან.	50 კაპ.
აქედამ დაიხარჯა:			
ზალის ქირაში — —	40	—	„ —
საზანდარს — — —	20	—	„ —
პარიკმახერს — — —	8	—	„ —
განცხადების დასაბეჭდი, ქაღალდები გასაკერელი	13	—	50 —
ტანისამოსის ქირა და სხვა წვრილმალი ხარჯი —	23	—	73 —
სულ	105	მან.	23 —
ნაღდი დარჩა	181	—	27 —

ბამგე ად. ჩუბინოვი

„დროების“ კორესპონდენცია

ივრის-ხეობიდამ, 20 მარტს. 18 მარტს იყო მოწეული ივრის ბამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის ყრილობა, რომელიც ამ რიცხვს კვირა დღეს კიდეც შესდგა წლიურის ანგარიშების განსახილველად დილის თერთმეტ საათზედა; შეიყარნენ საგარეჯოს შკოლის სასახლეში.

ამ დროს „დროების“ ნომრებიც მოგვვიდა, საიდგანაც შევიტყეთ ფრიად საძუნხარო ამბავი, ბესსარიონ ლოლაბერიძის გარდაცვალება, რომელმაც ძალიან დიდი ღვაწლი დათესა ივრის-ხეობაში; განსვენებულმა მიიღო თუ არა დირექტორის თანამდებობა, პირველად ივრის ხეობისკენ წამოვიდა, ჩაგონა ხალხს, რო ოთხ ადგილას შკოლა გაეხნა, ჩაგონა ისე ტკბილად და გონივრულად ბანკის საჭიროება ხალხს, რო ხალხმა იმისი სიტყვები მიიღო ისე, როგორც სიტყვები მახარობელისა. თუმცა იმ დროს ხალხი ძალიან დამფეხალი და შეშინებული იყო ყველა მოსამსახურე პირთაგან ივრის ხეობაში; მაგრამ განსვენებულის ბესსარიონის ტკბილმა სიტყვებმა იქონია ისეთი გავლენა ხალხზე, რო სიხარულით შეუდგენენ ბანკის საქმეს; თვითონ განსვენებულმა იკისრა ბანკისათვის ყოველივე საქმეების მომზადება და საქმის წარმოება. თავის სახლში ორ-სამ დღეს საკუთრივ მე მასწავლა. ამ დაუვიწყარი ღვაწლის გულისთვის, ივრის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობამ, ყრილობის დღეს გადაუხადა პანაშვიდი, სადაც დაესწრნენ ცხრა პატიოსანნი მღვდელნი და მრავალნი სხვანი. ამასთანავე ყრილობამ გარდასწყვიტა, ბანკის მართებლობამ მოიპოვოს დიდი სურათი ბესარიონ ლოლაბერიძისა, ოქროს ვარაყიანის რამკით და ბანკს საუმართველოს ოთახში ეკიდოს საუკუნოდ მის მოსახსენებლად.

აი ასე საჭირო და სასარგებლო კაცი იყო ხალხისათვის, რო ყველა საქართველოს კუთხიდგან მოისმის მწუხარება და გლოვა განსვენებულის გარდაცვალებაზედ..

ა. ქავთელი

სოფ. საგარეჯო.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის სამკურნალო

(ლეჩებნიცა) ამით აცხადებს, რომ ვისაც ჰსურს თავის შვილებს **ყვავილი აუცრას**, შეუძლიან მიმართოს სამკურნალოში, სადაც იმყოფება ყვავილის-აცრელი **ორუთინ ხალათოვი.**

ყვავილს აუცრიან ორშაბათობითა და პარასკევობით დილის 10 საათიდამ 12-მდინ; ღარიბებს მუქთად აუცრიან. (3—1)

ფოთის მეორე გილდიის მაჭარს, **ხახუ დავითის ძე თოფურიძეს**, პატივი აქვს გამოაცხადოს, რომ მისგან წარმოებული ადრინდელი **საკამისიონერო კანტორა** არ ყოფილა მოქმედებაში ომიანობის გამო 1876 წლიდან, ვიდრე ამა მდგომარე წლამდინ. ამა წელში ეს **საკამისიონერო კანტორა ისევ გაიხსნა ფოთში** ივანოვის ქუჩაზე, ალანიას სახლებში.

აცნობებს ამაზედ როგორც პირველი დროების მუშტრებს, ეგრეთვე სხვა ვაჭრებსაც. კანტორა ღებულობს თავის თავზე ყოველ ნაირი საქონლების მიღებას და გაგზავნას ყოველგან **რუსეთის** და **გრანიცისა**, მასთან გრანიცის საქონლების დამოქანაში დაბაჟვას, ეგრეთვე ყველა ნაირი საქონლების გამოწერას **რუსეთიდამ** და **გრანიციდან.**

ამას გარდა დროებით ჩამოსულთ ფოთში ვაჭრებს აძლევს თავის **კანტორაში** ბინას. (5—4)

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ: ა, ეს ბანკი ამ მარტის 10 რიცხვიდან. მოკლე-ვადიან სესხს აძლევს ხუთას (5000 მან.) თუმნამდე, და ბ, მოკლე-ვადიანი სესხის სარგებლად იღებს იმ პირთაგან, რომელთა ბანკის დასადგენად ფული არ შეუტანიათ, ცხრის მაგიერ რვა ასეულს პროცენტს. (3—1)

რკ. გზა	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი . .	9	21	5	18	მ.	კაპ.	მ.	კაპ.
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სატაბა. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა. . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური. . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

	მან.	კაპ.
ბოლო სიტყვა თფილისიდამ:		
ქავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	50
ბოსტონი, ბოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურს, ვარშავას. . . .	2	—
ბოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოჩტა

ა) **თფილისიდამ:** სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, **რუსეთს**— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ბაზურ.—პარასკ. და ორშ. ახალ-ბეთს—სამშ. და შაბ. ბ) **ქუთაისიდამ: თფილისისა** და **ფოთისკენ**— ყოველ დღე, კვირას გარდა. ბაზუოგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა **რუსეთში**	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (ხუმი მისხალი) .	8

მაზანდა

	მან	კაპ
თფილისი, 27 მარტს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	60
ფქვილი წითელი . . .	1	40
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ქრიმისა, ფუთი .	7	40
— ამერიკა, ფუთი . .	8	50
ბაპენტიერი ბამბა ფუთი.	9	70
მატყლი თუშური ფუთი	6	60
— მარაქამისა ფუთი . .	3	80
აბრეშუმი ნუხური სტ .	2	10
ქონ. ფუთი	5	60
ქონის სანთელი ფუთი .	7	55
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	1	8
—ცხვრისა, ლიტრა . . .	1	8
სპირტი ვედრო	4	60
შაქარი, ბოლ. ფუთი .	7	40
—ფხვნილი ფუთი . .	5	60
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	65
ბეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშურული ფთ.	7	5

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაიდანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ფერმიშევი და ბარლეჩი—შინაგ. ავად., ქიუჩარიანც—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ფერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ფერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ფერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ფერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ფერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 28 Марта 1879 г. Типографія Меликова. ბამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.